ოქმი № 14

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის გაერთიანებული სხდომისა

ქუთაისი, 2023 წლის 27 მარტი, 16 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, ოთახი 210.
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომის სპიკერები: საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე** და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ნიჟარაძე, დ.ბახტაძე, ე.არჩაია, ი.შენგელია, კ.გურული, მ.სიმონიძე, პ.ლილუაშვილი, მ.ჭოხონელიძე.**

სულ: კომისიის 12 წევრი.

არ ესწრებოდა: **გ.მანაგაძე, გ.კილაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.**

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი **დ.ნიშნიანიძე, ააიპ** „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ზ.წაქაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მ.ხიდაშელი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თ.ბერიშვილი.**

სხდომა გახსნა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ბატონი ზვიად წაქაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“
ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო

წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ბატონი მირზა ხიდაშელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მადონა რუხაძის, ინდირა რუსიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა
და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ.

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

ბატონი ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

12. მიმდინარე და სხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, **ა.კოპალეიშვილმა სიტყვა გადასცა** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ბ.მახარაძეს:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებულია ბიუჯეტის მეორე ცვლილების განხილვა. სასიამოვნო ცვლილება გვაქვს ბიუჯეტში, რომელიც მისი თითქმის 3,2 მლნ. ლარით ზრდას ითვალისწინებს. ძირითადია სტიქიის თანხები და ის გრანტი, რომელიც საფინანსო სამსახურმა მიიღო ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისათვის. ვთხოვოთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს წარმოდგვიდგინოს დეტალური ინფორმაცია ამ საკითხზე.

1. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის დ.ნიშნიანიძის ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის მე-2 ცვლილების შესახებ: „ცვლილების მიზანი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება

საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. კერძოდ, დაკორექტირდა საქართველოს მთავრობის N2435 განკარგულება (26.12.2022) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის N116 განკარგულებით (20.01.2023) გამოყოფილი თანხა 2000,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ, ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა კაპიტალური გრანტი 785,0 ათასი ლარის ოდენობით. ეს ყველაზე დიდია 40 მუნიციპალიტეტს შორის, რაც ჩვენ მივიღეთ. საბიუჯეტო სახსრების ნაწილში, ინფრასტრუქტურული პროექტები გაიზარდა 1080,3 ათასი ლარით. ამ ცვლილების შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 125 728,7 ათას ლარს" (მასალა ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „როგორ განაწილდა სტიქიის თანხა?"

მ.ხიდაშელი: „ვიმოქმედეთ გადაუდებელ ღონისძიებებზე რეაგირების მოთხოვნებიდან გამომდინარე. 100 კვ.მეტრზე ნაკლები ფართის მქონე დაზიანებებისათვის გადავეცით სამშენებლო და სხვა სახის მასალები".

დ.ნიშნიანიძე: „ჩვენ უკვე დაზარალებულებს დავეხმარეთ და რიგი ღონისძიებები დავაფინანსეთ. კანონმდებლობა ითხოვს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე აისახოს ეს ცვლილება."

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „მანდარიას ქუჩაზე, ასასვლელში საღამოს და ღამით კარგი გარემო შეიქმნა, თუმცა დღისით უკანა ნაწილი საკმაოდ ცუდად ჩანს. იქნებ რაღაც ფორმით შევცვალოთ ეს გარემო".

მ.ხიდაშელი: „სამწუხაროდ, კერძო ტერიტორიაა და ვერ ვეხებით, თუმცა გარკვეული ვალდებულებები შეიძლება დავუწესოთ".

პ.ლილუაშვილი: „წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის კუთხით რაიმე ინფორმაცია ხომ არ არის?"

მ.ხიდაშელი: „სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს შეხება ამ პროექტზე არც ტრანსფერის და არც რეგიონული ფონდის მიხედვით".

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ მეტი კითხვა არ გვაქს კენჭი უყაროთ წარმოდგენილ საკითს".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 12, **წინააღმდეგი** - არც ერთი

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას 2023 წლის ბიუჯეტის მეორე ცვლილება.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მიხედვით მივყვეთ საკითხების განხილვას. ვთხოვოთ ბატონ დ.ნიშნიანიძეს წარმოგვიდგინოს ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

2. მოისმინეს: ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია: „წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს. ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, ბიუჯეტში შევიდა 6 ცვლილება და წლის ბოლოს დაზუსტებულმა გეგმამ **129893,7 ათასი ლარი შეადგინა.** ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **136949.7 ათასი ლარი,** ანუ გეგმის 105%.

შემოსავლებმა შეადგინა 105, 3 მილიონი ლარი, რაც გეგმის 106%-ია. აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი სახით შემოულია 49,278.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 101%-ია. ფაქტიური შემოსავლები ქონებიდან გადასახადზე შეადგენს 11,359.9 , რაც გეგმის 103% -ია.
სხვა შემოსავლების ნაწილში დაფიქსირდა 11,459.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 76%-ია. შეუსრულებლობა ძირითადად განაპირობა შემდეგმა მუხლებმა:

- სანებართვო მოსაკრებლები-468.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 78%-ია
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-1,463.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 26% -ია;
- შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე-326.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 54% -ია
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები- 563.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 12%-ია.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 129893,7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 113660,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88%-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9286.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9103.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 11.5%-ს შეადგენს. „სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სატრანსპორტო კომპანია ;
- კალათბურთის განვითარება;
- ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება;
- რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებები;
- კულტურის ღონისძიებები.

ჩვენ ყოველკვარტლურად გაწვდიდით ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ეს გახლავთ შემაჯამებელი ანგარიში წლიური შესრულების შესახებ".

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ მეტი კითხვა არ გვაქს კენჭი ვუყაროთ 2022 წლის ბიუჯეტის ანგარიშის დამაკმაყოფილებლად შეფასებას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 9, **წინააღმდეგი** - 3.

დაადგინეს: შეფასდეს 2022 წლის ბიუჯეტის ანგარიში დამაკმაყოფილებლად.

3. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის **ბ.მახარაძის** ინფორმაცია კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესახებ: „ობიექტურ მიზეზთა გამო ცოტა გაგვიჭიანურდა ჩვენი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცება. ვეცადეთ, რომ იურიდიულ და ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიებთან ერთობლივი სხდომები დაგვეგეგმა, რომ რიგ სამსახურებსა და ააიპ-ებს არ გაჩენოდათ რამდენჯერმე ანგარიშების წარმოდგენის საჭიროება. ამიტომ, დასამტკიცებლად

წარმოგიდგენთ დასახელებულ კომისიებთან ამ სახით შეთანხმებულ გეგმა-გრაფიკს. თუ კითხვები არ გვაქს, კენჭი უყაროთ წარმოდგენილ საკითს".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 12, **წინააღმდეგი** - არც ერთი

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას კომისიის გეგმა-გრაფიკი.

ამით გაერთიანებული კომისიების სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე